

# ახალი

2019 წელი 27 სექტემბერი № 9 № 8150



ახალი

88-ე წელი  
თქვენთან  
ერთად!

აღწერა

AxaliGantiadi@gmail.com



ჩოგანი  
მავალით  
ზრუნვისა

გვ3.

სამთავრისა და ქაანის  
ვაისკოპოსმა დაიძინა 31  
აგვისტოს აქართვეთა ილიანა  
ნათლისმცემლის შობის ბაპარი

გვ3. გვ3.

მხედრე  
ტაძეგვი

გვ2.  
სასოფლო  
ამბულატორიების რე-  
აბილიტაცია



გვ2.  
საგზაო ინ-  
ფრასტრუქ-  
ტურის მოწ-  
ყობის სა-  
უზაოები

„საქმებს შენებს გამოგზიონს“



გვ4.

ქაანის  
პროფესი-  
ული სას-  
წავლელის მშენებლობა



გვ3.

გვ.  
სოფალ ნინარეში  
სასმელი წყლის  
სამუშაოები

„მომხალ მი-  
ნაში მიღვას  
ფასეაი..“



გურული  
სამშენებლო  
ექსპლოატაციური  
შეწოდებები

გვ8.



გვ9.  
ახალ სასწავ-  
ლო წელს  
ახალ სასწავ-  
ლო ბაღში

გვ7.  
ახალი სტადიონის მოლოდინები



ფოტო-მაგია

„ახალი განთავსება..“ იქნება საინტერესო სურათებს წარმოების საგზავთო თქვე-  
მდარის შესაქმებელთა. თხოვნით მივმართავთ თანამშრომლებს - რაცდეთ თქვენი  
ყველი ზეგნ მდარისში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო რა სახალისო თქველები!



ლომელოთ, სამშობლო  
მიცოცხლოე! გვ5-6.

ერთგული გვარდის ყანის ზეწავლითის  
გატილოგა ათხვებში 1993 წელი. 18 მარტი



### ერთიანი ეროვნული გამოსვლის წარმატებული ახალგაზრდები

კასპის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ მერებაშვილი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული კასპის ყოფილი გამგებლის,

პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის შვილი თამარ შარიფაშვილი, კასპის საჯარო სკოლების ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგების კურს-



დამთავრებულებს შეხვდნენ და საჩუქრად პორტატული პერსონალური კომპიუტერები გადასცეს.

კომპიუტერი გადაეცათ: ლალიკო ოსიყვიშვილს (ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები - კასპის №1 საჯარო სკოლა), ოთარ მამა-

ცაშვილს (მათემატიკა - კასპის №2 საჯარო სკოლა), გიორგი მიგრაიულს (ინგლისური ენა - კასპის №3 საჯარო სკოლა), მაკა მისურაძეს (მათემატიკა - სასირეთის საჯარო სკოლა) და ნაზი ხათაშვილს (ისტორია - ხოვლის საჯარო სკოლა).



### საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტიდან

#### კასპის პროფესიული სასწავლებლის შენობა

კასპში გრძელდება 200 სტუდენტზე გათვლილი სამსართულიანი, სრულად ადაპტირებული პროფესიული კოლეჯის მშენებლობა. თანამედროვე სტანდარტების პროფესიული კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამები, რეგიონში მოთხოვნად პროფესიებს ეფუძნება.

შეუწყობს ხელს. სასწავლებელში რეგიონისთვის პრიორიტეტული სოფლის მეურნეობის მიმართულებისა და მასთან დაკავშირებული დარგების - ვეტერინარიის, მექანიზაციისა და მეხალეობა-მეხილეობის სპეციალისტები მომზადდება.

კოლეჯის მშენებლობა წელს დასრულდება და რეგიონში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას

ასევე მომზადდება ელექტროშედულების, ხარატის, მაღალი ძაბვის ელექტროობის, ელექტროსამონტაჟო სა-



მუშაობის, ამწის ოპერატორ-მემანქანის სპეციალისტები. სასწავლებელი ორიენტირებული იქნება

ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე. მისი ღირებულება 3 893 624 ლარია.

#### სასოფლო აგულაგორიის რეაბილიტაცია



კასპის მუნიციპალიტეტის ექვსი სოფლის: დოესის, ახალკალაქის, ახალციხის, ოქბის, ივოეთის და ალაიანის სასოფლო აგულაგორიებში გრძელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. საქართველოს მთავრობამ რეაბილიტაციისათვის თანხა 149 998 ლარი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყო.

სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს

“რესტავრატორი” ახორციელებს. ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის, სამუშაო პირობებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ეწყობა სამანიპულაციო, პედატრის, მედიის ოთახები, შენობის სველი წვრტილები, ჭერი, იატაკი, საქვაბე, იცვლება სასმელი წყლის და საკანალიზაციო ქსელები, კარფანჯრები, შეიღებება გარე, შიდა ფასადი, მოეწყობა ეზო - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა.

### ქართული ჯილდოს პოპულარიზაცია

#### ტარიელ შარიფაშვილის ხსოვნას მიეძღვნა

ქართული ჯილდოს პოპულარიზაციასა და აღორძინებას კასპის მუნიციპალიტეტში სოფლების ტრადიციიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა.



კასპის ა(ა)იპ სპორტკომპლექსი წლის განმავლობაში თითქმის ყველა სოფელში ატარებს რიგით და სახელობით ტურნირებს და მასში ადგილობრივების გარდა საქართველოს სხვადასხ-

ტურნირი 1994 წლის აგვისტოში ჩატარდა.



ვა მუნიციპალიტეტის მოჭიდავეებიც მონაწილეობენ.

31 აგვისტოს სოფელ ზემო ხანდაკის საჯილაო არენაზე კიდევ ერთი ასეთი სახელობითი ტურნირი გაიმართა, რომელიც აფხაზეთის ომში ტრაგიკულად დაღუპული, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის (20. 12. 1960 - 25. 09. 1993) ხსოვნას მიეძღვნა. მისი სახელობის პირველი მემორიალური

65 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი ტრისტან ფეიქრიშვილმა (ზემო ხანდაკი), მეორე ადგილი ჯაბა პაპინაშვილმა (თელიანი), ხოლო მესამე ადგილი რობიზონ ბეგლარაშვილმა (დოესი) მოიპოვა. შესაბამისად დაჯილდოვდნენ 250, 150 და 100 ლარით, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის მერიის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა გადასცა. აღნიშნულ ტურნირში 50 მოჭიდავე მონაწილეობდა.



#### საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები

ქალაქ კასპში მიმდინარეობს ბორჯომის ქუჩიდან ე.წ. “ნატბეურას” გავლით პაატას ქუჩის გადაკვეთამდე გზის მოასფალტების სამუშაოები. გზის მონაკვეთის

სიგრძე 1863 გრძივი მეტრია, სამუშაოებს შპს “გზები და კეთილმოწყობა” ახორციელებს. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის და ადგილო-



ბრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მასზე 1 652 390 ლარი იხარჯება. სამუშაოების დას-

რულების შემდეგ ქალაქის ორ დიდ დასახლებას ე.წ. ქეჩარუსსა და ვარჯაანს კეთილმოწყობილი გზა დააკავშირებს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

დამოუკიდებელი საქართველოს (ახალ!) გარიჟრაჟზე, 90-იანებში ჯერ შეუჩვეველ მდგომარეობაში გვინდოდა თავისუფლება საოცნებო ქვეყნის მომავლისთვის გამოგვეყენებინა, გვეშენებინა ახალი და წარსული ღირსეულად შეგვენახა. ამ სურვილმა დაბადა იდეა კასპში, ძველი ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დაარსებისა.

მაშინ, ქართული პოლიტიკური რომანტიზმის დრო იდგა და მრავალი უსაქმური პოლიტიკოსის მანტიას ამოფარებული მტაცებლის ინსტიქტით საკუთარ თავზე იზომავდა ყველა სიკეთეს. სიკვდილი “არ ეჩქარებოდათ” და ... ცრუ პოლიტიკოსების გულგრილი დამოკიდებულების წყალობით (ამჯერად თავს ვიკავებთ კონკრეტული გვარების დასახელებისაგან!) ვერ განხორციელდა ეს საშვილიშვილო საქმე.

ასეთ სულერთობას მაშინ შეჩვეული არ ვიყავით და გვეკონა “მიზეზთა გამო” პროექტი დროებით ვერ შედგა. სწორედ ამ საზოგადო გულგრილობის ფონზე ბატონმა უშანგიმ იდეაც მოგვიწონა და ცოტახანში გვაჩვენა პანთეონის ტაძრის პროექტი, საჭირო ხარჯთაღრიცხვა და მაკეტი. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს მხარდაჭერა!

საქმე დაიბრა მაგრამ, ისევ ცრუ პატრიოტთა უგულობამ შეიწირა წამოწყება. ჩვენ იმედინად შეგყურებდით მომავალს... მას შემდეგ მრავალი ტაძარი აშენდა, პანთეონის დაფუძნება კი დღემდე გადაიდო.

უშანგი მოსიაშვილმა დააფინანსა კასპში იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესიის მშენებლობა და მოხატვა. ეკლესიის პროექტი გორის და ატენის მიტროპოლიტმა ანდრია

გადასცა. ტაძარი სამი წელი შენდებოდა, აქედან ერთი წელი დასჭირდა მოხატვას, მხატვარი გახლავთ გელა ლარიაშვილი. სამთავისისა და კასპის ეპისკოპოსმა დამიანემ 31 აგვისტოს აკურთხა ტაძარი. თავად უშანგი მოსიაშვილს გადასცა საპატრიარქოს სიგელი და მაცხოვრის ხატი.

ამ დღეს კასპს სტუმრობდნენ ეროვნული აკადემიის ვიცე პრეზიდენტი გივი ფიჩხინაშვილი, საქართველოს მწერ-



ალთა კავშირის თავმჯდომარე მაცვალა გონაშვილი, მისი მოადგილე რევაზ მიშველაძე, ტაო-კლარჯეთის აკადემიის პრეზიდენტი რევაზ გვარამაძე, აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარული მომსახურების კავშირის “დიოსკურია 2005”-ის პრეზიდენტი, თადარიგის გენერალი, აკადემიკოსი სერგო წურწუშია, კავშირის გენერალური მდივანი გურამ კუპატაძე, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი გულნაზ ხარაიშვილი.

იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესიის კურთხევის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს გამოფენა. უშანგი მოსიაშვილმა თავისი საწარმოს ტერიტორიაზე მოაწყო სამხატვრო გალერეა. სადაც გამოფენილია საქართველოს ის-

ტორიის ამსახველი მნიშვნელოვანი ეპიზოდები, კერძოდ: ამბავი ოქროს საწმისისა, მედეა, მეფე ფარნავაზი, ფარსმან ქველი, ქართული დამწერლობა, მეფე მირიანი თხოთის მთაზე, პირველი ქრისტიანი დედოფალი ნანა, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, სოლომონ პირველი, ერეკლე მეფე; სულ 60 მხატვრული ტილო. აღნიშნული ნამუშევრები მხატვარ

ალექსანდრე ცინელაშვილს ეკუთვნის. ... წლების წინ, უშანგი მოსიაშვილის პირველი წიგნის პრეზენტაციაზე ჟურნალისტმა და მწერალმა ლერი მუსხელიაძემ გააცნო ერთმანეთი ბატონ უშანგისა და ბატონ ალექსანდრეს... გასაუბრებისას მხატვარი ადაფრთოვანა უშანგი მოსიაშვილის იდეამ შეექმნა საქართველოს ისტორიის ამსახველი საგამოფენო სივრცე. სამი წლის განმავლობაში იქმნებოდა საქართველოს ისტორიაში გამორჩეული ვაჟკაცობის, თავდადების ამსახველი ფერწერული ტილოები.

ცალკე დარბაზშია გამოფენილი ახალი ისტორიის ამსახველი სურათები. ამავე დარბაზშია წარმოდგენილი თავად უშანგი მოსიაშვილის 20 ისტორიული პორტრეტი. ჩვენთან საუბარში ბატონმა უშანგიმ აღნიშნა, “- ისტორიული ამბები ბავშვობიდან იყო ჩემი

შესაძლებელი. ეს ხანგრძლივი და საინტერესო, დროში გაერცობილი პროცესია...” მხატვრობაში გამოუცდილი თვალის ადვილად შეამჩნევს გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში საინტერესო, გამორჩეულ ხედვას, გნებავთ სულიერ მიგნებებს... ბავშვობიდან გვასოვს ხალხური “ლექი ვეფხისა და მოყმისა” ამ ნაწარმოებთან ყველას თავისი დამოკიდებულება აქვს, ტრადიციულ ქართულ სუფრაზე ხშირად გაივრებთ ამონარიდს - “ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარიო ... თუმცა, სიმართლის წილ უნდა ვადაროთ, რომ ყველას გვასოვს დედის ნათქვამი: “იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა. წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა”.

გამოფენაზე წარმოდგენილია ტილო, რომელზეც მოყმის დედა ერთად დასტირის ვეფხვსაც და მოყმესაც. ეს ერთგვარი მესიჯია დამთვა-

მარადიული თანამდევნი. სულ ვეძებდი ერთიანი საქართველოს ძლიერ მეფეებს... რაც უფრო მეტს ვიგებდი, მით უფრო განვიცდიდი ქარქაშში ჩაუგებელი ხმლებით გადარჩენილი ქვეყნის ისტორიას ... სწორედ ამ ცოდნამ, ამ განცდამ, ამ თანაგრძნობამ ჩამოაყალიბა ჩემი ხასიათი. ასეთი ძალის მეფეები რომ არ გვეყოლოდა, გადარჩებოდა კი ქვეყანა მარადიული მტრების გარემოცვაში. ისტორიის აღქმა მხოლოდ შიდა შრეებში შეღწევით ხდება

# მხლოდ თაქცეში რიგორც მაგალითი ზრუნვისა ...



ლიერებისადმი - მხოლოდ ღირსეული ადამიანების, დედების, შვილების, ქვეყანაში შეიძლება დაინახო გენიალურად უბრალო აღმოჩენები, ასეთი ქვეყნები ინახავენ ღირსეულთა სულიერ საუნჯეს, ის კი თავის წილ ინახავს ქვეყანას შეხვედრის დასასრულს საქართველოს ტოკლარჯეთის სამეცნიერო აკადემიამ მწერალთა კონკურსში გამარჯვებულის ოქროს

შირი “დიოსკურია-2005”-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილის, კავშირი “დიოსკურია-2005”-ის საპატიო პრეზიდენტის “მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და დროსკვლავისა და დროსკვლავის” სამკერდე ნიშნების კავალერის ბატონი უშანგი მოსიაშვილის სახელი და გვარი შეტანილია უკვდავების წიგნში და მის სახელზე გახსნილია ბრწყინვალე-

ლი განსაკუთრებული წვლილისათვის, რაც გამოიხატება დევნილი მოსახლეობისთვის როგორც მორალური, ასევე მატერიალური დახმარებითა და მხარდაჭერით.” სპეციალური განკარგულება გადაეცა ბატონ უშანგი მოსიაშვილს.

დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ აღნიშნა, რომ მსგავსი საგამოფენო სივრცე უნიკალურია მრავალი თვალ-



მედლით დაავიღლოვა უშანგი მოსიაშვილი. ამავე დღეს მას გადაეცა ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოსის დიპლომი.

აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარული მომსახურების კავშირის “დიოსკურია 2005”-ის პრეზიდენტმა, თადარიგის გენერალმა, აკადემიკოსმა ბატონმა სერგო წურწუშიამ დამსწრეთა გაცნო, რომ “გენერალ ომარ ფურულიანის სახელობის, ქართველთა და აფხაზთა შერიგების კავ-

ის ვარსკვლავი, ქობილისის მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ეკლესიის ეზოში ქონგურებიან გადავანთან, 1992-93 წლების აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალური კომპლექსის გვერდით, ანალოგიური, ქვის ფილაზე ამოკვეთილი ბრწყინვალეების ვარსკვლავი გადაეცემა ქ. კასპის ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიას, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებისათვის.

ესოდენ მაღალი ჯილდოები ბატონ უშანგი მოსიაშვილს მიენიჭა ქართველთა და აფხაზთა შერიგების საქმეში შეტანი-

საზრისით, მსგავსი არ აქვს არც ერთ მუნიციპალიტეტს, კარგია, რომ ასეთი საგულისხმო კულტურული ცენტრი შეიქმნა ახალალობაში. სწორედ ასეთი კულტურული ცენტრები გაუწევენ უდიდეს სამსახურს არა მხოლოდ ადგილობრივ ახალგაზრდებს. ეს გამოფენა სასურველია ჩართოს რაიონის ტურისტულ გზამკვლევაში, როგორც მაგალითი ქვეყნის ისტორიის და თანამედროვეობის გაფრთხილებისა, მასზე ზრუნვისა და პატივისცემისა.

# „საქმეძან შინძან გამოვსინოს“

წინასიტყვაობის მაგიერ რამდენიმე წლის წინ ძლიერმა ქარმა მეზობლის რკინის კარებზე ჩამოავლო სადენი. სახლში 8 წლის ბავშვი იყო, დიასახლისი ეკლესიაში. მეზობლებმა ელქსელებში დარეკეს და მიუხედავად გულწრფელი თანაგრძობისა მოლოდინის რეჟიმში სახლებში დაბრუნდნენ... კარებთან მხოლოდ მეზობლის ბიჭი დარჩა, რკინის კარებს რომ არავინ შეხებოდა ...

რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდნენ ელქსელებიდან და სანამ ისინი პრობლემას აგვარებდნენ ბიჭი ეკლესიაში გაიქცა დიასახლისის გასაფრთხილებლად - „სადენი კი ჩამოწყდა, მაგრამ არ ინერვიულოთ ყველაფერი კარგადააო“.

ამ ამბის შემდეგ ვფიქრობდი, რომ ეს ახალგაზრდა გამორჩეული გულისხმიერების წყალობით კვლავ გამოჩნდებოდა ჩვენს ცხოვრებაში.

ხომ ვიცი, ადამიანებს გააჩნიათ ალტრუიზმის წმინდა ადამიანური მოტივაცია.

ამბობენ ალტრუიზტული ქცევისას პიროვნების მთავარი მიზანი და მოტივია ადამიანისათვის შემწეობის გაწევა.

ჩემი მთავარი ციხესიმაგრე მას შემდეგ, რაც ფეისბუქი საზოგადოების ფიქრისა და მღელვარების დამტკევი სივრცე გახდა მრავალი სიხლის მომსწრენი გავხდით. ვინ საკუთარი ლექსები გაგვაცნო, ვინ თავისი პოლიტიკური მოსაზრებები გამოიტანა საზოგადოების სამსჯავროზე, ვინ დრო იხელთა და უმიზეზოდ კი „მოიწვია მშობელთა კრება“ საკუთარი (ვერ) „აღზრდის“ დემონსტრირებისათვის ...

და ამ საზოგადო სივრცეში გამოჩნდნენ ახალგაზრდები პოლიტიკური და მერკანტილური ამბიციებისაგან თავისუფალნი (ასეც ხდება!) კერძოდ, ლამაზუბი-აშვილი და ოთო თავი-აშვილი აქვეყნებდნენ საკუთარი თვალთ დანახულ კასპის მუნიციპალიტეტის ამსახველ ფოტოებს. ჯერ მარტო მათი აღმოჩენილი ჩანჩქერები რად ღირს? ვალერი ზანგურსა და

ავთო ჩიტაშვილს მშობლიური რაიონის სიმდიდრის შემყურეებს გაუჩნდათ იდეა, სურვილი, მოტივაცია ტურისტებისათვის საინტერესოდ წარედგინათ რაიონი, რომ ყველას აღმოეჩინა კასპი. ასე გაჩნდა ფეისბუქ გვერდი „აღმოაჩინე კასპი“, რომელიც 4 თვეა არსებობს და 4900-ზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. ჯგუფს აქვს წესები!!!

კერძოდ, „თემატიკა უნდა იყოს კასპის შესახებ. არ ვეხებით

ილზე და ღიად არ აწერია როდის დაიდგა, მოქანდაკე და ასევე, ვინ იყო გიორგი სააკაძე, პატარა ისტორიით;

- აუზში კვლავ არ არის წყალი (მთელი ზაფხული არ იყო); სოფლებში არ დგას მანიშნებელი, რომელი სოფელი საით არის; - სკვერები და ბავშვთა გასართობი სივრცეები არ მოეწყო, როგორც ვიცოდით და გვითხრეს უნდა მოეწყობილიყო;

- ტურისტული ადგილების მისაგალ გზაზე პრაქტიკულად არ დგას

დღეღამისო აფთიაქი, რომ კვლავ ღამე, მედიკამენტს ვერ იშოვი.“

“შეგობრებო, googlemap-ზე - გააკეთე ცხავერის ჩანჩქერების ლოკაცია, ახლა უკვე შეგიძლიათ ჩაწეროთ Tskhaveri waterfall და პირდაპირ ჩანჩქერამდე მიგიყვანთ გზა. ვეცდები ქართულადაც დავამატო ლოკაცია.“

“ოჯახის დახმარება ალაიანში მოგესალმებით მეგობრებო, კასპის სოფელ ალაიანში არის ერთ-ერთი ისეთი ოჯახი, სადაც ჰყავთ ორი არასრულწლოვანი ბავშვი (გოგო და ბიჭი 9-5 წლის) და არიან

ერაციასთან, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოეწეოს ამგვარი გასართობი ჩვენს მუნიციპალიტეტში. ველი თქვენს წინადადებებს.“

ეს ამონარიდები საერთო განწყობის გასაცნობად წარმოგიდგინეთ. თავად თუ ესტუმრებით გვერდს გაცილებით მნიშვნელოვანსა და საინტერესოს ნახავთ თუ გაიგებთ, თანაც ასევე გაგონილს ერთხელ ნახა ხომ სჯობია...

საზოგადო ჭირზე ქალაქზე თუ მუნიციპალიტეტზე, მის ტურისტულ პოტენციალზე ამდენი საქმიანი და მზრუნველი პოსტების წაკითხვის შემდეგ ზედ-

ღალო კი ის გახლავთ, რომ აღმოჩენის ბედნიერება მათთვის მიუწვდომელი და გაუგებარია.

პროვინციული რეალობის ფონზე განაშეიძლება არ აღნიშნო და არ გიხაროდეს ახალგაზრდების სამშობლოს უანგარო მსახურება?!

ახალგაზრდებო, ხედავთ, „საქმეძან თქვენძან“ გამოგაჩინათ! არ გვანანოთ ეს სიხარული, არ უღალატოთ წამოწყებას! ჩვენ გვინდა ვიყოთ თქვენი აღმოჩენების თანაზიარი!



პოლიტიკას!!!

არ შეიძლება ერთმანეთის შეურაცხყოფა.

ფოტო, ან ვიდეო უნდა იყოს ხარისხიანი და აზრიანი.

წინააღმდეგ შემთხვევაში დაიბლოკება იუზერი...

მეგობრებო, კომენტარებში დაწერეთ ძირითადი პრობლემები, ელემენტარული რაც არის და მოუწერებელია ქალაქში და ასევე სოფლებში.

ამ დროისთვის ასეთი სია აქვთ:

- ქალაქში არ დგას სწორი მანიშნებელი, თუ რომელი სოფელი საით არის;

- ქალაქში არ არის საათი, რომლითაც გაიგებ ზუსტ დროს;

- ქალაქში არსად არ არის წყლის დასალევი ონკანი (ადრე იყო!);

- მდინარე ლეხურის გადასასვლელ ხიდებზე არსად აწერია მდინარის სახელი;

- ქალაქში თითქმის ყველგან წაშლილია ზებრა გადასასვლელი;

- არ არის დახაზული გზა, ღერძულა ხაზები, პარკინგის ზონები და ა.შ;

- სააკაძის ძეგლს წინიდან, გამოსაჩენ ადგ-

ნიშნები;

- არ არის ქალაქში სკვერი, სადაც შეიძლება და როლიკით იკატონ ბავშვებმა, ამის არარსებობის შემთხვევაში უწევთ გზაზე სიარული, რაც ხიფათს უქმნის მათ სიცოცხლეს;

- ქალაქში არსად არ არის რუკა, სადაც რაიონის ღირსშესანიშნაობები იქნებოდა დატანილი.“

საქმიან ადამიანებს დანატრებულ ჩვენს რეალობაში სასიხარულოა, რომ გულიანი და საქმიანი ახალგაზრდები გამოჩნდნენ. სხვათა შორის, ახალგაზრდებმა დაასუფთავეს რკინის, ქვათახევის შემოგარენი. შეაგროვეს 87 პარკი ნარჩენი.

“აღმოაჩინე კასპის“ გვერდზე ძალიან საინტერესო ფოტოებთან ერთად საინტერესო და საქმიან გზანილებსაც ნახავთ - „გამარჯობათ მეგობრებო, იმ კვირაში კასპის მთავარანგელოზთა ტაძარში სატრაპეზო კელიდის სარტყელი უნდა ჩავსახათ და ვინ მოგვემარებით? ფიზიკურადაა საბუშაო.“

- “იცით რა მაინტერესებს? რატომ არ გვაქვს ერთი მაინც სა-

გაჭირვებულები. ....

...შეიძლება ასევე 5-იდან 16 წლამდე ასაკის ბავშვების ტანსაცმელი შევავსოთ, ირგვლივ ბევრი არის დასახმარებელი და გადანაწილდება.

ერთი კარგი ადამიანი აგროვებს საჭირო ნივთებს ამ ოჯახისთვის და მცირედდენ თანხასაც, (აქვს უკვე შეგროვებული ნაწილი), თუ სურვილი გექნებათ დახმარების, შეგვენმანეთ, ერთად დავეხმაროთ, იქნება ეს ტანისამოსი, თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები. დაგაკავშირებთ ამ ადამიანთან, მოგვწერეთ.

მოხდება ოჯახთან მისვლა და მიაქვს უკვე თავისი შეგროვებული ნივთები, თუ ვინმეს გაქვთ დახმარების სურვილი შემატოთ ჩვენს რაღაცეები.“

“მეგობრებო, მაქვს იდეა! კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწეოს გასართობი ახალგაზრდებისათვის, განსაკუთრებით კი ექსტრემის მოყვარულთათვის.

ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში შეირჩეს შესაბამისი ადგილი (უმჯობესია იყოს ქალაქთან ახლოს, ან ახლომდებარე სოფელში, ლამაზი ხედი). კონსულტაციები გავიაროთ ზიპლაინის ეროვნულ ფედ-

მიწვევით გაგახსენდება მრავალი “ძლიერი ამა ქვეყნისა” უსაქმურობას, ჭორაობას და არც ისე სანაქებო საქმეებს რომ შეწირეს ცხოვრება. სახელიც ააშენეს (მხოლოდ საკუთარი!), ტანსაცმელი, პური და ფული მოაგროვეს (მხოლოდ თავისთვის!), ქვა და კაკალი (საკუთარი!) მარანში შეინახეს... ახლა კი არჩევნების წინ ისევ სათავისოდ ზომავენ, რომელ პარტიას გამოსტყუონ ფული, სად უფრო სარფიანად გაყიდონ საკუთარი თავი.

არადა, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დავით გურამიშვილის რიტორიკული შეკითხვა “ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?” დღემდე ელვდება პატიოსან მოქმედებას.

საზოგადო ჭირის არ გაზიარება, თვალის დახუჭვა და ჩვენი წილი პასუხისმგებლობის არ აღება უკუჩვენებელი სნეულება გახდა.

სულერთია, მედროვეები ვერასოდეს აღმოაჩენენ, თუ რატომ უნდა ემსახურონ სამშობლოს, ალტრუიზმი და პატრიოტობა მხოლოდ უცხო სიტყვებია და მეტი არაფერი. ყველაზე სავა-

ეპილოგი ბედის უკუღმართობით სამშობლოს მოწყვეტილ ქართველებს ლევილში არასოდეს ჩაუტარებიათ არც კაპიტალური და არც ევრო რემონტი, ყოველდღე ელოდებოდნენ სამშობლოში დაბრუნებას და იმიტომ! არადა, არც ყველასათვის გაუგებარი ავადმყოფობით სიკვდილი ეწერათ, რომელსაც უცხოელებმა ნოსტალგია უწოდეს. ისინი ევროპის შუაგულში საქართველოთი არსებობდნენ ...

სამწუხაროდ, დღეს ბევრს ავიწყდება, რომ სამშობლო პასუხისმგებლობაა! ადვილი წარმოსადგენია იმ ქვეყნის მომავალი, რომლის შთამომავლობა გულხელდაკრფილი შეპყრებს პრობლემებს და საპასუხოდ არაფერს აკეთებს.

ქვეყნის ისტორია წინაპრების მიერ დანატრვარი ანდერძია.

განა იარსებებდა დღეს ჩვენი ქვეყანა? წინაპრებს ასე რომ არ ჰყვარებოდათ?

და კიდევ, ალტრუიზმი განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალას, რომელიც ადამიანს საზოგადოებრივად სასიკეთო ქმედებებისაკენ უბიძგებს.

ალტრუიზმი ზნეობრივი პრინციპია, რომელიც ნიშნავს სხვა ადამიანებისადმი უანგარო სამსახურს, პირადი ინტერესების ნაცვლად, სხვისი ინტერესების წინა პლანზე წამოწევას.

ის ბიჭი, თანაუნელების სიცოცხლეს რომ იცავდა მეზობლის რკინის კარებთან, ავთო ჩიტაშვილი გახლავთ. ხომ გითხარით, ვიცოდი გამოჩნდებოდა თავისი გამორჩეული გულისხმიერებით მეთქი ჰოდა, გამოჩნდა!

მომავალ აღმოჩენებამდე მეგობრებო!




აფციაური შმაგი  
1974 წლის 12 იანვარი - 1992წ. III (მეტეხის რკინიგზის სადგურის დასახლება),

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ბახტაძე ბადრი  
1975 წლის 11 მაისი - 1993 წლის 26 ივნისი. ქ. კასპი (ქალაქში მის საცხოვრებელ ქუჩას ეწოდა "ბადრი ბახტაძის ქუჩა").

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ბეინაშვილი გელა  
1972 წლის 29 სექტემბერი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი) - 1993 წლის 9 მარტი (აფხაზეთი, ლაბრა).



ბეინაშვილი მამუკა  
1973 წლის 7 სექტემბერი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი) - 1993 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).


დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ომერთო, წამშობლო მიეცხლო!

აფხაზეთის ომის (1992-1993 წწ) შედეგად დაიღუპა 20,000-დან 30,000-მდე ათინკარი ქართველი, ხოლო 250,000-ზე მეტი ადამიანი აფხაზეთიდან ღმრთვით გახდა. კონფლიქტის განმავლობაში ჩადენილი უამრავი სახანძრო დანაშაული, მათ შორის ქართული მოსახლეობის ათინკარი ნაწილი. მოკლული იქნა 2,500-დან 4,000-მდე აფხაზი, 20,000 აფხაზი კი ღმრთვით იყვნენ.

აოსსსაგპოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგად კალიან მიიწვე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უამრავი უინანსური და უსიძლოოგური ზინი. ომმა და ომის შედეგობა უნასრიგო შეტაკება აფხაზეთის ბარიტორია მთლიანად გააპარბახა. დღეას აფხაზეთის რეგიონი საქართველოსგან და შაქო დამოუკიდებლოგით სარგებლოგ.

მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლოგისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოუკიდებლოგ რუსეთის ფედერაციისა. როგორც თვით აფხაზეთი ახსადებან, რეგიონი რუსეთის ფედერაციის და შაქო პროტაქორაბია.




ბროლაძე მამუკა  
1972 წლის 22 თებერვალი (სოფ. ახალქალაქი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 13 აპრილი (დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულები-სას).



გეთაშვილი მერაბი  
1970 წლის 3 სექტემბერი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი).  
1993 წლის პირველი მარტიდან მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში. მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



დეისაძე ვაჟა  
1964 წლის 15 ივნისი (სოფ. ქვემო გომი, კასპის რაიონი).  
მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



ედიშერაშვილი ზურაბი  
1955 წლის 2 ოქტომბერი (სოფ. ახალქალაქი, კასპის რაიონი) - 1992 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



თათარაშვილი გელა  
1974 წლის 17 ივლისი (სოფ. ოკამი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).



თათრისშვილი გორა  
1962 წლის 20 ოქტომბერი (ქ. კასპი) - 1993 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).  
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკარგულია დიღმის მძათა სასაფლაოზე.



ირემაშვილი გელა  
1970 წლის 23 სექტემბერი (სოფ. იდლეეთი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).


დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.




ირემაშვილი გიორგი  
1962 წელი (სოფ. იდლეეთი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.


ქ. თბილისში არსებობს გიორგი ირემაშვილის ქუჩა.




კალატოშვილი მორისი  
1967 წელი (სოფ. მეტეხი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 28 აპრილი (დაკარგულია მშობლიურ სოფელში).



კაპანაძე გიორგი  
1972 წლის 3 ნოემბერი (ქ. კასპი) - 1993 წლის 25 ნოემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).



კობაური ვასილი  
1962 წელი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი).  
მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



ლაფერაშვილი კახა  
1973 წლის 8 იანვარი (სოფ. ბარნაბიანთკარი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 2 ოქტომბერი (აფხაზეთი, ქ. გაგრა).

მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.




ლაფერაშვილი ზაქარია  
1958 წლის 30 სექტემბერი (სოფ. ბარნაბიანთკარი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 9 იანვარი (აფხაზეთი, ქ. ოჩამჩირე).



ლაცაბიძე გაგი  
1964 წლის პირველი ნოემბერი (სოფ. კავთისხევი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 27 დეკემბერი (აფხაზეთი, მერკულა).

დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისათვის".




მამულაშვილი ოთარი  
1973 წლის 17 იანვარი (სოფ. სასირეთი, კასპის რაიონი) - 1991 წლის 22 დეკემბერი).




ომერთო, წამშობლო მიცოცხოქ!

აფხაზთი მუი (1992-1993 წწ)



მანჯიკაშვილი ზურაბი 1972 წლის 30 აპრილი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) - 1992 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ტაშიში).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.




ნაცვლიშვილი ზურაბი 1973 წლის 25 თებერვალი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) - 1993 წლის 18 აგვისტო (აფხაზეთი).




ფეიქრიშვილი ალექსანდრე 1954 წლის პირველი ნოემბერი (სოფ. ზემო ხანდაკი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 18 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



შერმადინი შერმადინ 1975 წლის პირველი იანვარი (სოფ. თეზი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 4 ივლისი (აფხაზეთი).




შეტეშვილი ივანე 1961 წლის 11 თებერვალი (სოფ. თეზი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 23 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.



მარიდაშვილი ზაზა 1973 წლის 23 ივლისი (სოფ. ქვემო გომი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 10 დეკემბერი (აფხაზეთი, ეშერა).



ოთარაშვილი ბესიკი 1969 წლის 22 თებერვალი (სოფ. ქვემო ჭალა, კასპის რაიონი) - 1992 წლის 18 ივლისი (სამარაბლო).



ქართველიშვილი რომანი 1950 წელი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი) - 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ქ. თბილისში არის რომან ქართველიშვილის ქუჩა.




ცუცუნაშვილი კობა 1960 წლის 9 ნოემბერი (სოფ. ლამისყანა, კასპის რაიონი).


მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



შენიკაშვილი კობა 1973 წლის 21 აგვისტო (სოფ. დოესი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 21 სექტემბერი (აფხაზეთი). მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.



მიქუტიშვილი ჯუმბერი 1947 წლის 18 აპრილი (სოფ. ხოვლე, კასპის რაიონი) - 1993 წლის 13 თებერვალი (ლაბრა).



პაპუაშვილი ვახტანგი 1973 წლის 19 სექტემბერი (სოფ. იგოეთი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 21 აგვისტო (აფხაზეთი, კელასური).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



ქსოვრელი სერგო 1959 წლის 13 მარტი (სოფ. იდლეთი, კასპის რაიონი) - 1993 წლის 6 ივლისი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენით.

ქ. თბილისში არის სერგო ქსოვრელის ქუჩა.




ცქიტიშვილი ტარიელი (ბადრი) 1967 წლის 27 აგვისტო (ქ. კასპი) - 1992 წლის პირველი სექტემბერი (აფხაზეთი, ეშერა).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



სოკრიშვილი ნიკოლოზი 1961 წლის 14 მარტი (ქ. კასპი) - 1993 წლის 22 სექტემბერი (აფხაზეთი, ქ. სოხუმი). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. ქ. კასპში არის ნიკოლოზ სოკრიშვილის ქუჩა.



მუხათგვერდელი მორისი 1972 წლის 26 მარტი (სოფ. ალაიანი, კასპის რაიონი) - 1992 წლის 27 სექტემბერი (აფხაზეთი, ტაშიში). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.



შაბლაშვილი მერაბი 1956 წლის 28 მარტი (ქ. კასპი) - 1993 წლის 9 ნოემბერი (სამეგრელო, ქ. ზუგდიდი).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის III ხარისხის ორდენით.



ჯაბაური დავითი 1969 წლის 24 ივლისი (ქ. კასპი) - 1993 წლის პირველი მარტი (აფხაზეთი, ლაბრა).



# გურული სამზარეულოს ექსკლუზიური შენობები

თუ ბელმა გავიღობთ და ძველ გურულ ხის ოდა-სახლში სტუმრად აღმოჩნდით, შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვით და ყველაფერი მიირთვით, რასაც მასპინძლები მოგართმევენ. უძალოდ რომც იყო, ეზოში ცალკე მდგარი სამზარეულო თქვენამდე ისეთი სურნელება მოაღწევს, თავბრუ დაგებევით. გურიაში ყოფნა განსაკუთრებული კულინარიული დღესასწაულია. მართალია, აქაური სამზარეულო დასავლეთ საქართველოს ზოგად გასტრონომიულ ტენდენციებს მოიცავს, მაგრამ ის მინც განუმეორებელი და თვითმყოფადია. გურული კერძები ჰგავს იმერულსაც, მეგრულსაც და, გარკვეულწილად, აჭარულსაც, თუმცა ქმნის საკუთარ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ბრენდებს. გურული მასპინძელი სუფრასთან აუცილებლად ენაკვიბურად გაგებურებათ, მაგრამ ტკბილი სიტყვით დიდად თან არ გადაყვებათ, როგორც იმერეთსა და სამეგრელოში. ამიტომ თავპატივს ნუ დაიდებთ და კერძი პირველივე შეთავაზებაზე მიირთვით.

ცომეული სიმინდსა და მჭადის ფქვილს, გურული სამზარეულოს ერთ-ერთ მთავარ პროდუქტს, ამ მხარეში სრულიად განსხვავებული გემო და სუნი აქვს. სიმინდმა აქ ტრადიციული ენდემური მცენარე - ღობი - დიდწილად განდევნა (მისი სახელი კერძს შემორჩა). როგორც ჩანს, აქ მოყვანილ სიმინდზე ზღვის სიახლოვე და ნესტიანი ჰავა ზემოქმედებს. როცა უნიკალური კვერი - მჭადი ცხვება, ისეთი არომატი დგება, სენსორული შეგრძნებები თავისდაუნებურად მძაფრდება. გამორჩეულად გემრიელია ბუნარში ან შუაცეცხლზე, ნაკვერჩხალში შემწვარი მჭადი. იმერეთისგან განსხვავებით, გურიაში მჭადს არა თიხის, არამედ ქვის კეცზე (ტაფაზე) წვავენ. კეცზე - წიფლის, წაბლის ან კაკლის ფოთლებს აფენენ, შემდეგ მკვერავდ მოზეული გუნდას ათავსებენ და სქლად აბრტყელებენ, ზემოდან ისევ ალაგებენ ფოთლებს; კეცს ხურავენ რკინის თავსახურით, რომელზეც ისევ ნაკვერჩხლებს აყრიან. ასე გამოძევიან მჭადი უგემრიელეს ხრაშუნა, დაბრაწულ ზედაპირს იკეთებს. გურულები მჭადს თითქმის ყველა კერძს ატანენ. ის განსაკუთრებით უხდება ჭყინტ თუ ცხიმთან დავარგებულ ყველს, ნიგვზთან და მსუყე საჭმელს. მჭადისაგან მზადდება კიდევ ერთი შესანიშნავი გურული საუზმე, რომელიც აქაური კულინარიის არც ერთ ადგილას არაა თუ ცნობარში არ შემხვედრია, მაგრამ ზემო გურიაში ყოფნისას ამ კერძით ხშირად მიმასპინ-

ძლებოდნენ. მას აჭარულ მთის კერძებს მიახლოებენ. ცხელ რძეში უმ კვერცხს ჩაახლიან, ცოტა ხანს ადუღებენ, მერე კი მჭადის ნატეხებს ჩაფშენიან და მარილს უმატებენ. ეს საუზმე ბავშვებისათვის ძალზე სასარგებლო და ნოყიერია. ისევე, როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, გურიაშიც უგემრიელეს ღობს ამზადებენ მსხვილად დაღვრილი სიმინდისა და სიმინდისავე ფქვილისაგან. კარგად მოხარშულ ფაფაში ბრტყლად დაჭრილ ყველის ნატეხებს ჩააწყობენ და ისე მოგართმევენ. როცა ყველი ნახევრად დადნება და ფაფას კარგად გაუჯდება, ნაღების გემოს შეიგრძნობთ.

ღობი დამოუკიდებელ კერძადაც შეგიძლიათ მიირთვათ და ნებისმიერი კერძის გარნირადაც.

გურული ხაჭაპური ანუ ყველიანი კვერი, ქვის კეცზე გამოძევიან, გაცილებით სქელია, ვიდრე იმერული. მას ზოგადქართული წესით, რძეში ან წყალში მოხელილი ხორბლის ფქვილის საფურცელიანი ცომისაგან ამზადებენ, ზედაპირზე ქათმის ფრთით კვერცხის გულს უსვამენ და ღობისადა ბრაწავენ. თუმცა, გურიაში ხაჭაპურის უნიკალური ვერსიებიც არსებობს, რომლებიც ექსკლუზიურად ამ კუთხის კულინარიული მიღწევაა. ეს განსაკუთრებული ღვეზელი (ღვეძელი) და ბრინჯულა.

გურული ღვეზელის ისტორია სარიტუალო-საკულტო სუფრას უკავშირდება. მას საკალანდო (საშობაო) ტაბლისათვის აცხობდნენ. ამ უგემრიელეს კვერს, ტრადიციული ხაჭაპურისაგან განსხვავებით, ნახევარმთვარის ფორმა აქვს და მასში ყველის გარდა მოხარშულ, დაჭრილ კვერცხის ნატეხებს აწყობენ. ქრისტიანობამდე რკალისებური ფორმა თუ კვერცხის მრგვალი ნატეხები მთვარის კულტს განასახიერებდა, ხოლო ქრისტიანულ ეპოქაში წმ. ბასილის შესაწირავად მოიაზრებოდა. დღესდღეობით გურული ღვეზელი სადღესასწაულო თუ ყოველდღიური სუფრის ნაწილია. კეცზე და ნაკვერჩხლებზე გამოძევიან კი ჭეშმარიტი გასტრონომიული შედეგია. ხაჭაპურის მეორე ნაირსახეობას, ე. წ. ბრინჯულას ბრინჯთან საერთო არაფერი აქვს, თუმცა სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ოდესღაც მისი თხელი ცომი ბრინჯის ფქვილისაგან მზადდებოდა. ბრინჯულა თითქოს ხაჭაპურიც არის და ომლეტიც, მაგრამ უფრო მეტად სქელ ბლინს მოგავიხსენებთ, რომელსაც ზემოდან ყველში ათქვეფილ კვერცხს მოასხამენ და ღუმელში აცხობენ.



გურული სამზარეულოს უმთავრესი მახასიათებელი ნიგვზისა და ცოცხალი თუ ხმელი სანელებლების მრავალფეროვნებაა - ქინძი, წითელი წიწაკა და ნიორი ყველაზე ხშირად გამოიყენება. კერძებს ასევე კმაზავენ ოხრახუთით, კამით, ქონდრით, ზაფრანით, უცხო სუნელით და ა. შ. საერთოდ, გურული ნიგოზი საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულსაგან გემოთიც განსხვავდება და ფორმითაც. მას უფრო ნაზი, პიკანტური გემო აქვს და დანაყილი ლეხნებისაგან ზეთის გამოდენა დიასახლისებს უადვილდებათ. ულაშაზესი ყვითელი ფერის სურნელოვანი ზეთი მრავალ კერძზე მოსახმელად გამოიყენება და ნამდვილი დელიკატესია.

ხორციანი კერძები, თევზის საცივი გურულ კულინარიაში ფრინველის ხორცი (ქათამი, იხვი, ნანადირევი) დომინირებს. მათ უფრო ხშირად ხრაკავენ ან სანელებლებით შეკმაზულს წვავენ.

ქართული სუფრის მშვენიერებას - საცივს (ინდაური ნიგვზიანი წვენით) - გურულები საახალწლოდ და სადღესასწაულოდ ამზადებენ, მაგრამ უფრო მეტად გავრცელებულია ფრინველის ხორცის ე. წ. საცივი-ჩახრაკული, რომელსაც ნიგვზის გარდა, ტომატის პასტას ან პომიდორს უმატებენ. ეს უგემრიელესი ნახევრადწვნიანი კერძი ჭეშმარიტი გურმანების საყვარელი საჭმელია. განსაკუთრებით დატვირთული გემოთი გამოირჩევა იხვის ჩახრაკული. ასევე ძალიან გემრიელია ნიგვზიანი კერძი - შემწვარი ვარია ურწყულით. არომატული საკმაზეებით შესუნელებული და მერე შემწვარი ვარიის ნატეხებს აწყობენ ნიგვზთან სქელ სოუსში, რომელსაც გამორჩეულ გემოს აძლევს ნიორი, ძმარი (ან ლიმონის წვენი), ცოცხალი მწვანელები, განსაკუთრებით, კამა, და ზემოდან მოყრილი ბროწეულის მარცვლები.

გურული კულინარიის ნამდვილი შედეგია თევზის საცივი, რომლის მომზადების წესიც ისეთი უნიკალურია, გურმანებს აუცილებლად დაინტერესებთ: გურულები გასუფთავებულ-გარეცხილ ნებისმიერი ჯიშის თევზს ნახევრად ხარშავენ, მერე კი წვავენ. სოუსისათვის ნიგოზს წმინდად ნაყავნ,

ნიორსა და ყვითელ ყვავილთან (ზაფრანასთან) ერთად; შემდეგ დანაყილი ნიგვზისაგან ზეთს გამოადენენ და მას მცირე ჭურჭელში ათავსებენ; ცალკე ნაყვენ ქინძის თესლს, წიწაკას, ქონდარს, ნელლ ოხრახუშს, ხვრიმ მარილს და ამ მასას დანაყილ ნიგოზში ურევენ, რომელსაც ძმარსა და თევზის ბულიონიდან მოხდილ ცხიმთან წვენს ასხამენ; ამ ნარევეს წვრილად დაჭრილ ხახვს ურევენ და ადუღებამდე მიჰყავთ. ცეცხლიდან გადმოღებულ სოუსს ათქვეფილ კვერცხის გულს უმატებენ. ლანგარზე მოთავსებულ შემწვარ თევზს ზემოდან ასხამენ ცხელ საცივს და შეგრილების შემდეგ, სუფრაზე მიტანის წინ ნიგვზის ზეთს მოაკურებენ. ეს ულაშაზესი, უგემრიელესი დელიკატესი ნებისმიერი მაღალი კლასის რესტორნის მენიუს დაამშვენებდა.

გურიაში არამხოლოდ ფრინველის, არამედ ღორის ხორცისგანაც შესანიშნავ დელიკატესებს ამზადებენ. სუნელებში დამარინადებული, ნაკვერჩხალზე შემწვარი გოჭი სადღესასწაულო მენიუს განუყოფელი ატრიბუტია. ასევე საკალანდო სუფრაზე საპატიო ადგილას დევს მოხარშული ღორის თავი. მას მირთმევისას თხელ ნატეხებს ათლიან. ზამთრის თვეებში გურულები შემოგთავაზებენ უგემრიელეს ღორს, რომელიც ჯერ მარილწყალშია გამოყვანილი, ხოლო შემდეგ შუაცეცხლზე შებოლილი. შებოლილ კერძებს შორის გამორჩეულია ასევე გურული კუპატი - ძეხვის განსაკუთრებული სახეობა, რომლის შიგთავსიც ღორის მოხარშული გულ-ღვიძლის, თირკმლის, ფქვილსა და მარილში ამოგანგული დაკუწული ნაწლავების, ნივრის, ხმელი თესლიანი ქინძის, პილაპილისა და ქონდრის ნაზავია. მას გურულები ხანგრძლივი შებოლის შემდეგ, შემწვარს მიირთმევენ.

საქონლის ხორცის კერძებს შორის დღესდღეობით გავრცელებულია ე. წ. გურული ცხარე - ძნელი დასადგენია, ეს კერძი რამდენად ძველია, მაგრამ სურნელოვან გურულ საკმაზეებსა და პომიდორთან ერთად ჩამუშავებული ნახევრადწვნიანი კერძი, რომელშიც დიდი რაოდენობით მსუკლავი გამოიყენება, ხორცის მოყვარულთათვის გემოების ნამდვილი ფეიერვერკია.

მხალეული გურულ მხალეულში ნიგოზი და ბროწეული ჭარბად გამოიყენება, რაც მას უფრო მეტად მომჟავო გემოს ანიჭებს. მხალი (ფხალი) - მოხარშულ-დასრესილი ბოსტნეულის, ნიგვზისა და საკმაზეების ერთობლიობა, ამჟამად სხვადასხვა ბოსტნეულისაგან მზადდება, მაგრამ გურიისთვის ტრადიციულია ჭარხლის ფოთლისა და კეჟერა მხალი; ბოსტნეულის

ნიგვზიანი კერძებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია კვირკვალი ლობიო - დანაყილი ნიგვზით, ნივრით, ძმრით, მწვანელითა და ხმელი სანელებლებით შეკმაზული მოხარშული ლობიოს მარცვლები.

ტკბილეული გურული ჩაროზების მეფე-დელოფალია ფელამუში და ჯანჯუხა (იგივე ჩურჩხელა); გურულები ადგილობრივი ყურძნის წვენისა და სიმინდის ფქვილისაგან ფელამუშის ფაფისებ მასას ადუღებენ (გაცივებულს მიირთმევენ), მასში ამოვლებული, ძაფზე აცმული თხილისაგან კი უგემრიელესი ჯანჯუხა მზადდება.

ერთობ მივიწყებული, უძველესი გურული ტკბილეულია იაფოფხა - ოდესღაც გურიაში სოია ძალიან კარგად ხარობდა. ეს ჩაროზიც ამ მცენარის ფქვილის, თაფლის, ნიგვზისა და კვერცხისაგან გამოძევიან კექსია, იშვიათი არომატითა და გემოთი.

ღვინო ი. ჯავახიშვილი გვიამბობს, რომ გურიაში ვაზის 59 აბორიგენული ჯიშის ხარობდა. ზოგიერთი მონაცემის თანახმად, ეს რიცხვი 64-ამდე აღწევდა; მათგან ძალიან მაღალი ხარისხის, მრავალსურნელოვანი ბუკეტის მქონე, ზავერლოვან, მსუბუქ ღვინოებს აყენებდნენ, მრავლად იყო სუფრის ყურძნის ჯიშებიც. მათ შორის გამორჩეულია ჩხავერი, რომელიც დღემდე შემორჩა, მისგან შესანიშნავი ვარდისფერი ღვინოები - სუფრის მშრალი, ნახევრად ტკბილი და ბუნებრივი ცქრიალა იწარმოება (ჩხავერი იოსებ სტალინის საყვარელი სასმელი იყო). ამჟამად კერძო მარნების მფლობელები თანდათან ცდილობენ ძველი ჯიშების (მაგ, საკმიელას, მტევანდიდის და სხვა) მოპოვება-აღორძინებას. გურიაში ალაგ-ალაგ ხარობს ასევე ცოლიკაური და კაჭიჭი - მავყურძნიანი საღვინე ჯიშები.

დღესდღეობით გურიაში გავრცელებული ენდემური ჯიშების სიმცირე საუკუნეში გაბატონებული ადვისის დამსახურებაა. ისინი თანდათან განადევნა ამ შემოტანილმა უცხო ჯიშმა - იმავე იზაბელამ, რომელსაც ნაკლები მოვლა სჭირდება და დაავადებებისადმი მედეგია. ადესა ძალიან სურნელოვანი, მუქლურჯი, შიგნიდან მოწითალო ყურძენია და მისარითმედაც გემრიელია; მისგან ულაშაზესი წითელი ფერის, განსაკუთრებით არომატული ბუკეტის, მსუბუქი ღვინო დგება. ის ძალიან უხდება გურულ კერძებს, განსაკუთრებით, ფრინველის ხორცს. თუ გურიაში ყოფნისას, ადვისს გარდა, რაიმე სხვა ადგილობრივ ღვინოს შემოგთავაზებენ, გირჩევთ, სიამოვნებით მიირთვათ, რადგან ის აუცილებლად ენდემური ყურძნისგან დაწურული იქნება.

მარინა ყიფშიძე.





კახური



„დიდგორის“ საბავშვო მოგზაურობა

„ჯორჯიას“ „ჯორჯიასეან“ „ბრავო“!

კასპის მუნიციპალიტეტის ცეკვის აკადემია „დიდგორი“ თურქეთში ორკვირიანი საგასტროლო მოგზაურობიდან სულ ახლახან დაბრუნდა... ჩვენს სახელოვან, ვარსკვლავოსან დიდგორელებს თურქეთის ორი დიდი ქალაქი, ნაზილი და კუშადა მასპინძლობდა. დაახ, ამ ქალაქებში გაართულ „ლეღვისა და ფორთოხლის“ საერთაშორისო ფესტივალზე, რომელზეც მიწვეული იყვნენ რვა ქვეყნის მოცეკვავეები და შემსრულებლები, კასპელმა მოცეკვავეებმა ღირსეულად წარადგინეს ჩვენი ქვეყანა.

ანსამბლი „დიდგორი“ /სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფები: დარინა პაპაშვილი და სოსო ღვინიაშვილი /წელს უკვე მეოცედ იმყოფებოდა უცხოურ საგასტროლო მოგზაურობაში და ყოველწასვლაზე ჩვენი მოცეკვავეები უცხოელებს თავს ამახსოვრებენ განუმეორებელი ხელწერითა და განსაკუთრებული სამემსრულებლო მანერით... ჩვენი მოცეკვავე ვაჟები უცხოელებს ხიბლავდნენ ცერებზე ცეკვითა და ჰაერში სამჯერადი ტრიალით, მუხლებზე დაცემით, ხოლო გოგონები გამოირჩეოდნენ სინაზითა და სინარნარით, კლემამოსილებით, კონცერტების მსვლელობისას დარბაზში ფრიალებდა ქართული დროშები, განუწყვეტლივ ისმოდა მჭუსარე აპლოდისმენტები და ომახიანი შემახილები: გურჯისტან, ბრავო.

ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა ქალაქების /გუბერნატორები, მრები / ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზებით, საგანგებოდ ისაუბრეს ჩვენს საკონცერტო პროგრამაზე, — აცხადებს ცეკვის აკადემია „დიდგორის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, — ეს იყო დაუვიწყარი წუთები, ძალიან გულთბილად შეგვხვდნენ, ყველაფერი აინტერესებდა ჩვენს შესახებ, აინტერესებდათ ქართული ტრადიციები და კულტურა, ჩვენი ხელოვნება, გადმოგვცეს ვიდეოები და საჩუქრები, ჩვენს ანსამბლთან სიახლოვეთ გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები და სხვათა შორის, ამ შთაბეჭდავი შეხვედრის მასალები დაიბეჭდა ადგილობრივ პრესაში.



მოცეკვავეებისათვის მოეწყო ექსკურსიები, მოსწავლეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს „სულთანისტარის“ უძველესი ნაგებობანი, ორი უძველესი ამფითეატრი, „პამუკალეს“ თეთრი კლდეებიდან ჩამონადენი გოგირდოვანი წყლის, ლეგენდარული კლეობატრას აბანოები, აგრეთვე, „ჰეპესის“ უძველესი და უნიკალური ნაგებობანი.

მოკლედ, ფესტივალის ორგანიზატორებმა დიდგორელები ძალიან დიდი პატივით მიიღეს, დიდი მოწონებისა და პატივისცემის ნიშნად საფესტივალ პროგრამის ვადა კიდევ ერთი დღით გაუხანგრძლივეს და ქალაქ ნაზილის ფოლკლორულ ანსამბლთან ერთად გალაკონცერტზე მიიწვიეს... შემდეგ კასპელი



შთაბეჭდილებებით აღსავსე, მომავალზე ორიენტირებული დიდგორელები ახალი გამარჯვებისათვის ემზადებიან. სამზადისი უკვე დაიწყეს, მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მომავალ წელს ვარსკვლავოსანი „დიდგორი“ საგასტროლოდ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას ეწვევა.



რედაქციაში შემოსული წერილები ან რეცენზირდება და ავჯორებს ან უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლქორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თაზისუფალი პრესის პრინციპალიტ. სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოგანილი შაჰგანის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. სარედაქციო მასალებისა და განხილვების შედეგად რედაქცია პასუხს არ ახდის. რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქცია ნანა მერაბიშვილი რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საბავშვო ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76